შპს ინფინიტი პრო

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიშგება 3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 7
1. ზოგადი ინფორმაცია 8
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები 14
4. ძირითადი საშუალებები 16
5. არამატერიალური აქტივები 16
6. ფული და ფულის ეკვივალენტები 17
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 17
8. მარაგები 17
9. სესხები 17
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 17
11. ფინანსური ინსტრუმენტები 18
12. ამონაგები 18
13. სხვა შემოსავლები 18
14. ზოგადი & ადმინისტრაციული და მიწოდების ხარჯები 18
15. სხვა შემოსულობები/ზარალი - ნეტო 18
16. სხვა ხარჯები 19
17. ფინანსური ხარჯები 19
18. ფინანსური რისკების მართვა 19
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 21
20. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები 21

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ინფინიტი პროს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე იმ შემთხვევაში, თუ მსს ფასს-ის სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 02 სექტემბერს.

დირექტორი		დოდო რაზმაძე
მთავარი ბუღალტერი		ნინო კაჭკაჭიშვილი

02 სექტემბერი 2025 წელი
საქართველო, თბილისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (‘ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენი შენა	31-12-24	31-12-23	31-12-22
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	851,888	787,186	123,284
არამატერიალური აქტივები	5	19,610	5,616	6,744
		871,498	**792,802**	**130,028**
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	231,639	264,296	271,466
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	122,325	94,656	107,317
მარაგები	8	1,731,034	1,545,962	1,232,325
		2,084,998	**1,904,913**	**1,611,108**
მთლიანი აქტივები		**2,956,496**	**2,697,715**	**1,741,137**
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1,790	1,790	1,790
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		253,584	220,918	(47,241)
		255,374	**222,708**	**(45,451)**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	9	501,422	597,318	4,653
		501,422	**597,318**	**4,653**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	9	132,746	66,211	72,160
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	2,008,908	1,772,347	1,679,790
საგადასახადო ვალდებულებები	10	58,045	39,131	29,984
		2,199,699	**1,877,689**	**1,781,935**
მთლიანი ვალდებულებები		**2,701,121**	**2,475,007**	**1,786,588**
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		**2,956,496**	**2,697,715**	**1,741,137**

დირექტორი — დოდო რაზმაძე

მთავარი ბუღალტერი — ნინო კაჭკაჭიშვილი

02 სექტემბერი 2025 წელი

საქართველო, თბილისი

7-21 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (‘ლარი)

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	**შენი შვნა**	**31-12-24**	**31-12-23**
ამონაგები	12	7,191,790	7,008,509
თვითღირებულება	8*	(4,103,962)	(4,048,083)
საერთო მოგება		**3,087,828**	**2,960,426**
სხვა შემოსავლები	13	16,040	33,547
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	14	(2,902,121)	(2,511,708)
მარკეტინგის დანახარჯები	14	(38,125)	(18,577)
მიწოდების დანახარჯები	14	(89,505)	(70,141)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	15	14,953	(33,085)
სხვა ხარჯები	16	(5,701)	(10,529)
საოპერაციო მოგება		**83,371**	**349,933**
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი	17	(45,205)	(23,321)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(45,205)	(23,321)
მოგება დაბეგვრამდე		**38,166**	**326,611**
მოგების გადასახადი		(825)	(8,768)
პერიოდის მოგება		**37,341**	**317,844**
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		**37,341**	**317,844**

დირექტორი — დოდო რაზმაძე

მთავარი ბუღალტერი — ნინო კაჭკაჭიშვილი

02 სექტემბერი 2025 წელი

საქართველო, თბილისი

7-21 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (‘ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 01 იანვარი	**-**	**-**	**(47,241)**	**(45,451)**
მოგება წლის ბოლოს			317,844	317,844
სხვა სრული შემოსავალი			-	-
პერიოდის სრული შემოსავალი			317,844	317,844
საწესდებო კაპიტალის შევსება / შემცირება	1,790			-
გაცემული დივიდენდი			(49,684)	(49,684)
2023 წლის 31 დეკემბერი	**1,790**	**-**	**220,918**	**222,708**
მოგება წლის ბოლოს			37,341	**37,341**
სხვა სრული შემოსავალი			-	-
პერიოდის სრული შემოსავალი			37,341	**37,341**
საწესდებო კაპიტალის შევსება / შემცირება	-			**-**
გაცემული დივიდენდი			(4,675)	**(4,675)**
2024 წლის 31 დეკემბერი	**1,790**	**-**	**253,584**	**255,374**



დირექტორი _____ დოდო რაზმაძე

მთავარი ბუღალტერი _____ ნინო კაჭკაჭიშვილი

02 სექტემბერი 2025 წელი
საქართველო, თბილისი

7-21 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (‘ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	31-12-24	31-12-23
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
- მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	8,064,212	7,836,725
- მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(7,104,694)	(6,888,827)
- სხვა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(833,841)	(747,041)
- გადახდილი მოგების გადასახადი	(825)	(8,768)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**124,852**	**192,090**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების / არამატერიალური აქტივების შეძენა	(134,117)	(704,791)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	50	450
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(134,067)**	**(704,341)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	-	-
- სასესხო ვალდებულების ზრდა	203,917	667,561
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(223,619)	(111,375)
- გადახდილი დივიდენდები	(4,441)	(47,200)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**(24,143)**	**508,986**
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	(33,358)	(3,265)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	264,296	271,466
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	701	(3,906)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	**231,639**	**264,296**

,



დირექტორი — დოდო რაზმაძე

მთავარი ბუღალტერი — ნინო კაჭკაჭიშვილი

02 სექტემბერი 2025 წელი
საქართველო, თბილისი

7-21 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ინფინიტი პრო (შემდგომში კომპანია), საიდენტიფიკაციო ნომრით 404878021, წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2010 წლის 08 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2018 წლის 15 ივნისს განხორციელდა კომპანიის რეორგანიზაცია - შერწყმა შპს პლიუს 4-თან, საიდენტიფიკაციო ნომრით 400206585. რეორგანიზაციის შედეგად დარჩა რეგისტრირებული სუბიექტი შპს ქალთა ბედნიერება, 404878021.

2021 წლის 1 თებერვალს კომპანიამ შეიძინა ინდივიდუალური მეწარმე დოდო რაზმაძის (01019028753) იმავე ბრენდის (ქალთა ბედნიერება) ქვეშ მოქმედი ბიზნესის ნარჩენი აქტივები (სმფ, ძირითადი საშუალებები) და განაგრძო საქმიანობა ფილიალის სახით მისამართზე გამსახურდიას გამზ. 7.

2023 წლის 17 ნოემბერს მოხდა სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია, კერძოდ, შეიცვალა საფირმო სახელწოდება და 2023 წლის 17 ნოემბრიდან კომპანიის რეგისტრირებული საფირმო სახელწოდებაა შპს ინფინიტი პრო.

2024 წლის 01 მაისიდან კომპანიამ გახსნა ქალთა ბედნიერების ახალი ფილიალი მისამართზე: თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის 2, სავაჭრო ცენტრი ისთ ფოინთი.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გამსახურდიას გამზირი N7 მიმდებარედ. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კოსმეტიკური და ტუალეტის ნაწარმით საცალო ვაჭრობა (NACE 47750), დამატებითი საქმიანობა კი - საპარიკმახეროების და სხვა სილამაზის სალონების მომსახურება (NACE 96020).

კომპანია საქმიანობას ახორციელებს შემდეგ ფაქტიურ მისამართებზე:

თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 95
თბილისი, რუსთაველის გამზ. 2/4, გალერია თბილისი
თბილისი, გამსახურდიას გამზ. 7
თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის 2

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორი და 100% წილის მფლობელია დოდო რაზმაძე (პ/ნ 01019028753).

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

2.1. მომზადების საფუძვლები

ა). ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

ბ). შეფასების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის შედეგები და დადებითი ტენდენციები, დადებითი ფულადი ნაკადები, საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობები, მიმდინარე გეგმები და მომავლის შესახებ თავისი მოლოდინები ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

2.2. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქიონალური და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ამგვარად, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება სააღრიცხვო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშგების პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების გადაფასება ხდება სააღრიცხვო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

აღრიცხვისთვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი სავალუტო კურსები:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894	2.7020
1 EUR/GEL	2.9306	2.9753	2.8844

2.3. შემოსავალი და მისი აღიარება

კომპანია აღიარებს შემოსავალს საქონლის / მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებაც აქვს კომპანიას ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე "კონტროლი", ანუ საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი, მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს პარფიუმერული და კოსმეტიკური, ჰიგიენური ნაწარმის და აქსესუარების საცალო მიწოდება, დამატებით შემოსავალს კი - საპარიკმახერო და სილამაზის სალონების და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი საქმიანობებისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

ა). შემოსავალი საცალო ვაჭრობიდან - კომპანია შემოსავალს იღებს ადგილობრივ ბაზარზე საცალო მომხმარებელზე საქონლის რეალიზაციით და მიღებულ შემოსავალს აღიარებს მაშინ, როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის გადაცემა მომხმარებლისთვის. ძირითადად კონტროლის გადაცემა ხდება მაშინ, როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს.

ბ). შემოსავალი საპარიკმახერო და სილამაზის სალონების და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობიდან - კომპანია მომხმარებლებს აწვდის საპარიკმახერო და სილამაზის სალონების და მასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებას. შესაბამისი ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, მომხმარებლის მიერ მომსახურების მიღებისთანავე. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც მომსახურება არის მიწოდებული.

გ). ღირებულების განსაზღვრა - კომპანიის მიერ რეალიზებული საქონლის / მიწოდებული მომსახურების ფასი არის ფიქსირებული და, შესაბამისად, მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

თუმცა კომპანია იყენებს სხვადასხვა ტიპის ფასდათმობის მეთოდებს: ბრუნვაზე მიბმული ფასდაკლება, სხვადასხვა მარკეტინგული აქციები საცალო მომხმარებლის დამატებით მოზიდვის მიზნით. შესაბამისად, მოსალოდნელი ცვლადი ანაზღაურება ამცირებს მოსალოდნელ შემოსავალს.

დ). სხვა შემოსავალი - მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს, რომელსაც იღებს კომპანია საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში და შესაძლებელია სარგებლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

2.4. ხარჯები

კომპანია აღიარებს ხარჯებს მაშინ, თუ მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, და რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

2.5. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას, რომელიც ეფუძნება განაწილებულ დასაბეგრ მოგებას (დივიდენდის განაწილება), გამოითვლება 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით და, 2017 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება არა წლიური, არამედ ყოველთვიური შედეგები.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება გარკვეულ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, როგორიცაა სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის; ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას; უსასყიდლოდ გაცემები და სმფ დანაკარგები; ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები და ა.შ. აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა საგადასახადო ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2.6. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან

ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება, აღიარდება აქტივად.

2.7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია აღნიშნული ტიპის დანახარჯიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი ჩაირთვება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი.

2.8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია ორ ჯგუფად: შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა და სასაქონლო ნიშანი. ისინი ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილ ამორტიზაციასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც 10 წელს შეადგენს.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი ჩაირთვება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი.

2.9. მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის ხარჯებს დამატებული ყველა სხვა ხარჯი, რომლის გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

2.10. მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს იმისათვის, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები და ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

2.11. იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.12. ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მხოლოდ
მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

2.13. პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

2.14. ფინანსური ინსტრუმენტები

ა). ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა კატეგორიად: „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“

ფინანსური აქტივები, შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე და მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, ანგარიშებზე განთავსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს.

გაყიდვები ძირითადად ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს, არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები და მათი არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას და განსაზღვრავს სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგს.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, კომპანია აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით ისე, რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. კომპანია გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრები მთლიანად მიღებულია ან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა ამოეწურა;

- ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადაეცემა სხვა მხარეს ან, მიუხედავად იმისა, რომ კომპანია იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ბ). ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები კი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ხარჯი.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება (ანუ როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება), გაუქმდება ან ამოეწურება ვადა.

გ). ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

კომპანია ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლას (დანეტებას) ახდენს მაშინ, როდესაც ეს იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

2.15. დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში და ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. თუმცა მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია ყოველი ანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის

განსაზღვრისას ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ მოხმარებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ და მორალურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები არ შეუცვლია.

3.2. ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.3. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები - პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში კომპანიის მიმართ შეიძლება წარდგენილი იყოს გარკვეული მოთხოვნები. ხელმძღვანელობა არ არის საქმის კურსში ანგარიშგების თარიღისთვის კომპანიის მიმართ რაიმე ისეთი მოთხოვნის არსებობის შესახებ, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნესსაქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის მიზანშეწონილი. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება გარკვეული რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენობები	ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
2023 წლის 31 დეკემბერი		**222,973**		**42,574**	**265,546**
შემოსვლა	656,028	34,982	9,361		700,371
გასვლა		(37,208)			(37,208)
2023 წლის 31 დეკემბერი	**656,028**	**220,746**	**9,361**	**42,574**	**928,709**
შემოსვლა		102,410			102,410
გასვლა		(11,981)			(11,981)
2024 წლის 31 დეკემბერი	**656,028**	**311,175**	**9,361**	**42,574**	**1,019,137**
დაგროვილი ცვეთა					
2023 წლის 31 დეკემბერი		**118,137**		**24,125**	**142,262**
პერიოდის ცვეთა	2,374	16,630	418	4,257	23,679
გასვლა		(24,418)			(24,418)
2023 წლის 31 დეკემბერი	**2,374**	**110,349**	**418**	**28,382**	**141,523**
პერიოდის ცვეთა	7,121	23,025	836	4,257	35,239
გასვლა		(9,512)			(9,512)
2024 წლის 31 დეკემბერი	**9,494**	**123,862**	**1,254**	**32,639**	**167,249**
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2023 წლის 31 დეკემბერი		**104,835**		**18,449**	**123,284**
2023 წლის 31 დეკემბერი	**653,654**	**110,397**	**8,943**	**14,192**	**787,186**
2024 წლის 31 დეკემბერი	**646,534**	**187,313**	**8,107**	**9,935**	**851,888**

*ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ზრდა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:
2024 წლის 01 მაისს კომპანია გაფართოვდა ახალი ფილიალის სახით და შეიძინა ეკონომიური საქიანობისთვის საჭირო ძირითადი საშუალებები.

5. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	სასაქონლო ნიშანი	სულ
2023 წლის 31 დეკემბერი	**11,444**	**1,011**	**12,455**
შემოსვლა	-		0
2023 წლის 31 დეკემბერი	**11,444**	**1,011**	**12,455**
შემოსვლა	17,119		17,119
გასვლა	(3,913)	-	(3,913)
2024 წლის 31 დეკემბერი	**24,650**	**1,011**	**25,661**
დაგროვილი ცვეთა			
2023 წლის 31 დეკემბერი	**4,995**	**716**	**5,711**
პერიოდის ცვეთა	1,028	101	1,129
2023 წლის 31 დეკემბერი	**6,023**	**817**	**6,840**
პერიოდის ცვეთა	1,332	101	1,433
გასვლა	(2,223)	-	(2,223)
2024 წლის 31 დეკემბერი	**5,133**	**918**	**6,051**
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2023 წლის 31 დეკემბერი	**6,449**	**295**	**6,744**
2023 წლის 31 დეკემბერი	**5,421**	**194**	**5,615**
2024 წლის 31 დეკემბერი	**19,517**	**93**	**19,610**

*პროგრამული უზრუნველყოფის საბალანსო ღირებულების ზრდა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: 2024 წლის 01 აპრილს კომპანიამ სმფ-ების აღრიცხვისა და მარაგების მართვის გაუმჯობესების მიზნით შეიძინა აღრიცხვის პროგრამა FINA სასაწყობე მოდული და განათავსა სერვერზე.

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2023
ნაღდი ფული	9,888	8,845	11,943
ფული საბანკო ანგარიშებზე	221,751	255,451	259,523
სულ	**231,639**	**264,296**	**271,466**

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	13,029	22,741	34,085
გადახდილი ავანსები	109,296	71,914	73,232
სულ	**122,325**	**94,656**	**107,317**

8. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2023
სავაჭრო მარაგები - საქონელი	1,730,063	1,514,347	1,226,466
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	971	31,614	5,859
სულ	**1,731,034**	**1,545,962**	**1,232,325**

*მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 4,103,962 ლარი (2023 წელს 4,048,083 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 1414 ლარი (2023 წელს 3138 ლარი), იგი ჩართულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მუხლში.

9. სესხები

გრძელვადიანი	31.12.2024	31.12.2023	31.12.2023
საბანკო სესხები*	501,422	597,318	4,653
	501,422	**597,318**	**4,653**
მოკლევადიანი			
საბანკო სესხები	-	9,973	-
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	132,746	56,238	72,160
	132,746	**66,211**	**72,160**
სულ	**634,168**	**663,529**	**76,813**

*2023 წლიდან კომპანიას აქვს გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება - საბანკო სესხი უცხოურ ვალუტაში 225,000 ევროს ოდენობით, წლიური ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი 6%, სესხის დაფარვის ვადა - 6 წელი. გრძელვადიანი საბანკო სესხი უზრუნველყოფილია შეძენილი უძრავი ქონებით, საწარმოს ძირითადი საშუალებებით (შენიშვნა 4), ასევე, დამფუძნებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები *	1,904,405	1,684,555	1,603,662
გადასახდელი ხელფასები	95,852	84,689	71,439
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	507	0	1,002
მიღებული ავანსები	8,145	3,103	3,688
საგადასახადო ვალდებულებები	58,045	39,131	29,984
სულ	**2,066,954**	**1,811,478**	**1,709,774**

*სავაჭრო ვალდებულებების უმეტესი წილი - 77% (2023 წელს - 72%), სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, დასაფარია მხოლოდ ვალდებულების წარმომქმნელი შესაბამისი საქონლის რეალიზაციის შემდგომ. სავაჭრო ვალდებულების დარჩენილი წილის (23%) დაფარვის ვადა შეადგნს 30 დღეს.

11. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები	2024	2023
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	244,668	287,037
სულ	**244,668**	**287,037**

ფინანსური ვალდებულებები		
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	2,634,932	2,432,773
სულ	**2,634,932**	**2,432,773**

12. ამონაგები

	2024	2023
საქონლის გაყიდვა	6,799,088	6,617,452
მომსახურების გაწევა	392,701	391,057
სულ	**7,191,790**	**7,008,509**

13. სხვა შემოსავლები

	2024	2023
ძირითადი საშუალების რეალიზებით მიღებული შემოსავალი	42	381
უსასყიდლოდ მიღებული მარაგების საბაზრო ფასი	4,681	29,294
გაუქმებული ფინანსური ვალდებულება (ვადაგასული ავანსი)	8,562	886
სხვა საოპერაციო მოგება (სარგებელი)	2,755	2,986
სულ	**16,040**	**33,547**

14. ზოგადი & ადმინისტრაციული და მიწოდების ხარჯები

	2024	2023
ხელფასის ხარჯი	(1,688,918)	(1,377,089)
იჯარის ხარჯი	(867,472)	(819,796)
ცვეთის ხარჯი	(36,672)	(24,808)
კომუნალური ხარჯი	(57,367)	(48,277)
მარკეტინგის ხარჯი	(38,125)	(18,577)
მიწოდების ხარჯი	(89,505)	(70,141)
დაზღვევის ხარჯი	(6,009)	(3,971)
სამეურნეო ხარჯი	(40,551)	(39,934)
საოფისე / საკანცელარიო ხარჯები	(21,421)	(16,659)
ტრენინგის ხარჯი	(1,568)	(6,381)
დასაქმებულ პერსონალზე დარიცხული სხვა ხარჯი	(26,599)	(21,827)
ბანკის საკომისიო	(144,745)	(144,832)
საგადასახადო ხარჯი	(8,195)	(4,705)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(2,604)	(3,428)
სულ	**(3,029,750)**	**(2,600,425)**

15. სხვა შემოსულობები/ზარალი - ნეტო

	2024	2023
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი	14,953	(33,085)
სულ	**14,953**	**(33,085)**

16. სხვა ხარჯები

	2024	2023
ზარალი დანაკარგებიდან / უსასყიდლო მიწოდებიდან	(287)	(146)
ხარჯებში ჩამოწერილი ძირითადი საშუალება	(3,585)	(9,878)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(1,829)	(505)
სულ	**(5,701)**	**(10,529)**

17. ფინანსური ხარჯები

	2024	2023
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(45,205)	(23,321)
სულ	**(45,205)**	**(23,321)**

18. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკებს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი - კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი, რაც ნიშნავს ფულადი ზარალის მიღების რისკს დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის ანალიზს, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგისა და ეფექტური მართვის მიზნით კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალრისკიან მომხმარებლებზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

საბაზრო რისკი - კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი, რაც გულისხმობს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებების გავლენას კომპანიის ფინანსურ ინსტრუმენტებზე. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკებს. კომპანია მუდმივად ახორციელებს აღნიშნული ფაქტორების ცვლილებების მონიტორინგს. თუმცა ეს არ გამორიცხავს ზარალს ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში. მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ფაქტორში მომხდარი ცვლილებები, როგორც წესი, ურთიერთდაკავშირებულია, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები კიდევ უფრო ზრდის განუსაზღვრელობას და მოსალოდნელი რისკების დონეს.

სავალუტო რისკი - განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს: საიჯარო ხელშეკრულებები (ყოველთვიური გადასახდელები და ავანსად გადახდილი დეპოზიტები), შესყიდვები იმპორტით, გრძელვადიანი საბანკო სესხი.

სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024		31.12.2023	
	USD	EUR	USD	EUR
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	36,040	55	25,197	18
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,730	21,324	142	31,557
სულ ფინანსური აქტივები	**38,770**	**21,378**	**25,339**	**31,575**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	11,117	-	11,117	-
ნასესხები სახსრები	-	185,735	-	221,448
სულ ფინანსური ვალდებულებები	**11,117**	**185,735**	**11,117**	**221,448**

საპროცენტო განაკვეთის რისკი - წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

წარმოდგენილ საანგარიშგებო პერიოდში კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივი / ვალდებულება. საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს წარმოადგენს. ამ ეტაპზე მოქნილობის შენარჩუნება უზრუნველყოფილია მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

31.12.2024	0-90 დღე	91-365 დღე	1 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	231,639	-	-	231,639
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,581	21,236	83,508	122,325
სულ ფინანსური აქტივები	**249,220**	**21,236**	**83,508**	**353,964**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	675,825	333,271	999,812	2,008,908
საგადასახადო ვალდებულებები	58,045	-	-	58,045
მოკლევადიანი სესხები	32,413	100,333	-	132,746
სულ ფინანსური ვალდებულებები	**766,283**	**433,604**	**999,812**	**2,199,699**

31.12.2023	0-90 დღე	91-365 დღე	1 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	264,296	-	-	264,296
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24,321	11,741	58,594	94,656
სულ ფინანსური აქტივები	**288,617**	**11,741**	**58,594**	**358,952**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	593,158	294,797	884,391	1,772,347
საგადასახადო ვალდებულებები	39,131	-	-	39,131
მოკლევადიანი სესხები	27,014	39,197	-	66,211
სულ ფინანსური ვალდებულებები	**659,303**	**333,994**	**884,391**	**1,877,689**

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის არსებით დაკავშირებულ მხარეებთან ურთიერთობის ანალიზისას გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

2024 წელს კომპანიას არსებით დაკავშირებულ მხარეებთან რაიმე სახის ურთიერთობა არ ქონია.

კომპანიის მიერ აღებული გრძელვადიანი სესხები კომპანიის აქტივებთან ერთად უზრუნველყოფილია მფლობელის, დოდო რაზმაძის კუთვნილი უძრავი ქონებით.

ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შეადგენდა, შესაბამისად, 170,032 და 140,695 ლარს.

20. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 02 სექტემბერს.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა განმარტება საჭირო იქნებოდა ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.